ბატონი მიხაელ როლკე ყოველთვის გულისხმიერად მეხმარება კომპიუტერის მომსახურებასთან დაკავშირებული რთული ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში.

ამ წიგნს კი ვუძღვნი დედის, ანა იეკუორტესა და ჩემი დის, მარგიტ იეკის ნათელ ხსოვნას.

*ბოხუმი, 20 მარტი, 2010 წელი
უდო რაინჰოლდ იეკი*

შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია პროკლესული პლატონიზმის კონტექსტში

I

1. ის ისტორიული ფენომენი, რომელმაც „შუა საუკუნეების ფილოსოფიის“ სახით ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის სახელმძღვანელოებში დღემდე მყარი ადგილი დაიკავა, ახალ კლასიფიკაციას მოითხოვს. თუკი XX საუკუნის მეორე ნახევარში მთავარი ამოცანა ლათინურენოვანი დასავლეთის შუა საუკუნეების ფილოსოფიის კლერიკალი მმართველების ბატონობისაგან გათავისუფლება და ფილოსოფიის ისტორიული კვლევების აპრობირებული საშუალებებით მისი შესწავლა იყო, XXI საუკუნის დასაწყისისთვის, გლობალიზაციის ეპოქაში, არა მარტო შუა საუკუნეების, არამედ დასავლური ფილოსოფიის მთელი ისტორიული მემკვიდრეობის შეფასება, მულტიპოლარული სამყაროს შიგნით, თვით დასავლეთ ევ-

როპის განვითარებისა და მნიშვნელობის ხელახალი შეფასების პერსპექტივიდან გამომდინარე, ახალ ამოცანებს წამოჭრის. უფრო მეტიც, საჭიროა დასავლური ფილოსოფიის როლის ახალი განსაზღვრა ფილოსოფიური აზროვნების გლობალურ კონტექსტში: ეს ვრცელდება თანამედროვეობაზე, მაგრამ, ამასთანავე, წარსულის განმარტების დროსაც იჩენს თავს. იმ საბედისწერო ევროპოცენტრიზმს, რომელიც დასავლეთ ევროპის მაღალი კულტურებისთვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი, თანამედროვე ფილოსოფიის ისტორიოგრაფიაში არავითარი მომავალი აღარ აქვს; ამასთან, უკვე, ცხადი ხდება ახლებური აზროვნების გარკვეული მომენტები; თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ ყალიბდება ახალი ხედვის პერსპექტივა: ის დასავლურ ფილოსოფიას აფასებს, როგორც მნიშვნელოვან კვანძს ფილოსოფიური აზროვნების ინტერნაციონალური ქსელის სტრუქტურაში და საკუთარ ისტორიას მოიაზრებს, როგორც მისკენ მიმავალ გზას. ამ თვალსაზრისით ლათინურენოვანი დასავლეთის ფილოსოფია ახალ დეფინიციას საჭიროებს.

ვინც ამ სახით კვლევის განსხვავებულ მიმართულებას დასახავს, ის ჩვენამდე მოღწეულ ძველ ტექსტებში აქამდე უცნობი და ფარული ასპექტების დანახვას შეძლებს.

2. პროკლეს ფილოსოფიის წარმოშობა და გავლენის ისტორია შესაძლებლობას იძლევა ამ თეზისის დასაბუთებისათვის. ამ გვიანანტიკელმა მოაზროვნემ ნეოპლატონური ელემენტებით გაჯერებული დიდი გავლენის მქონე კონცეფცია განავითარა. პროკლემ ამ შედეგს იმით მიაღწია, რომ დახმარებისთვის დიდი და მდიდარი ტრადიცია მოიხმო: პლატონთან და მის მიმდევრებთან განსწავლულმა ნეოპლატონიკოსებმა უზრუნველყვეს წინასოკრატელებისგან მომდინარე ფილოსოფიური აზროვნების უწყვეტობა აღმოსავლეთ რომის იმპერიის დასასრულისა და ბიზანტიის იმპერიის დასაწყისისათვის. გვიანდელი პერიოდის სხვა მოაზროვნეების მსგავსად, პროკლეს თავის თეორიულ მონახაზებში ბერძნულ ფილოსოფიურ მეტყვიდრობას მიმართავდა; მან ის განავრცო და ფილოსოფიური აზროვნება მაღალ დონემდე

განავითარა¹. პროკლემ დიდი გავლენა მოახდინა შემდგომ თაობებზე.

ამ სანიმუშო გავლენის ასახსნელად ერთი დამატებითი მიზეზი არსებობს: გვიანანტიკური პლატონური ფილოსოფია უფრო მეტი იყო, ვიდრე მხოლოდ ლოკალური მოვლენაა. მის ნამყვან ნარმომადგენლებს გვიანი პერიოდის რომაულ კულტურულ წრეებთან არა მხოლოდ მრავალმხრივი პიროვნული კონტაქტები ჰქონდათ, არამედ ეს დიფერენცირებული კავშირები იმპერიის ყველაზე შორეულ წერტილებსაც სწვდებოდა. განათლებული სამყაროს ყველა კუთხიდან ისწრაფოდნენ დაინტერესებული ადამიანები ათენისა და ალექსანდრიისაკენ, რადგან ისინი ფილოსოფიური აზროვნების აღიარებულ ცენტრებად ითვლებოდა. უკვე იმ დროისათვის გვიანანტიკური ფილოსოფიის გავლენის სფერო კავკასიას მისწვდა².

პლატონი, პლატონური აკადემია და მისი

-
- 1 შდრ. W. Beierwaltes, Proklos. Grundzüge seiner Metaphysik, 2. Aufl., Frankfurt am Main 1979.
 - 2 შდრ. B. Kendall, R. W. Thomson (Ed.), Definitions and Divisions of Philosophy by David the Invincible Philosopher (Armenian Texts and Studies 5), California 1983.

წარმომადგენლები ხშირად უსვამდნენ ხაზს ახლო აღმოსავლეთის მითების დიდ მნიშვნელობას. პროკლე პატივს მიაგებდა ყველა ღმერთს და ზეიმობდა მათ დღესასწაულებს³. დამასკიოსი იცნობდა არა მხოლოდ თავისი დროის პლატონური თეოლოგიის კონცეფციებს, არამედ იგი აღმოსავლური მითოლოგიის გარკვეულ ელემენტებსაც იკვლევდა (მაგალითად, ასკლეპიადესა და ჰერაისკოსის ეგვიპტურ თეოლოგიებს)⁴. ამდენად, ამ მოაზროვნეებმა განსხვავებული კულტურებიდან მომდინარე სამყაროს კონცეფციები გამოიკვლიეს და, ამასთანავე, მათი თეოლოგიისა და კოსმოგონიის პლატონიზება მოახდინეს. თუმცა ამას გარკვეული წინააღმდეგობაც ახლდა თან. როცა პროკლე ათენში პლატონურ აკადემიას ხელმძღვანელობდა, მას დაბრკოლების გარეშე შეეძლო ისეთი ტექსტი შეედგინა, როგორც

3 ეს უკვე ჰეგელმა შენიშნა (vgl. G. W. F. Hegel, Vorlesungen über die Geschichte der Philosophie II [Werke in zwanzig Bänden, Bd. 19], Frankfurt am Main 1971, 467).

4 შდრ. U. R. Jeck, *Platonica orientalia. Aufdeckung einer philosophischen Tradition*, Frankfurt am Main 2004, 73-77, 82-86, 95-97, 114-119

„თეოლოგიის სანყისებია“⁵. ალექსანდრიაში კი უკვე, ამის საპირისპიროდ, ქრისტიანი ფუნდამენტალისტები ხელს უშლიდნენ ტრადიციულ წარმართულ პლატონიზმს. თუმცა მის შემდგომ ფართო გავრცელებაზე ის მიუთითებს, რომ, აგათიას მიხედვით, პლატონური ფილოსოფიის მიმართ სპარსეთის მეფე ხოსრო დიდ ინტერესს იჩენდა. იუსტინიანეს მიერ 529 წელს პლატონური აკადემიის დახურვის შემდეგ, დამასკიოსი, თავის რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, მოკლე დროით სპარსეთში გაიხიზნა. ათენსა და ალექსანდრიაში, ფილოსოფიური მეტროპოლიების დაღმასვლის შემდეგ, მათ მემკვიდრეობაზე პრეტენზია კონსტანტინოპოლმა განაცხადა.

ამ ეპოქამ ბიზანტიური ფილოსოფიის დაბადება გვაუწყა. ნეოპლატონური აზროვნება იქ, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმის გამო გადარჩა, რომ ის ქრისტიანობას დაუკავშირდა⁶: *არეოპაგიტული კორპუსი* სწორედ გაბა-

5 შდრ. Proklos, *Elementatio theologica*, ed. E. R. Dodds, Oxford ²1963.

6 შდრ. U. R. Jeck, *Platonica orientalia*, 90-94.

ტონებული წარმართული ნეოპლატონური ფილოსოფიის ქრისტიანულ ჩანაცვლებას წარმოადგენდა, ან კიდევ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნეოპლატონიზმი, რომელიც დიდ მსგავსებას ამჟღავნებდა მითოლოგიასთან, ამჯერად ხსნის შესახებ წარმატებულ აღმოსავლურ რელიგიას დაუკავშირდა და აღმოსავლეთის ის გავლენები უარყო, რომელიც წარმართულად ითვლებოდა. ორიენტალიზებული პლატონიკოსების თეორიული პროექტები ისევე დაემხენ, როგორც მათი ღმერთები.

ამ გარემოში პროკლეს ზოგიერთი ნაშრომი საეჭვოდ გამოიყურებოდა. ბიზანტიელები ამ ტექსტებზე უარს არ ამბობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი სახელწოდება „პლატონური თეოლოგია“ და „თეოლოგიის სანყისები“ იყო. უფრო მეტიც, ისინი არა მხოლოდ შენარჩუნდნენ და ბიზანტიური სულიერი ისტორიის ქარტეხილებს გადაურჩნენ, არამედ, თარგმანების მეშვეობით, აღმოსავლეთ რომის იმპერიის მიღმაც დიდი გავლენა შეიძინეს. აღსანიშნავია, რომ აქ პროკლეს „თეოლოგიის სანყისები“ მთავარი ტექსტი აღმოჩნდა.

II

3. აღმოსავლეთზე ბერძნული კულტურის დიდმა გავლენამ ირიბად ანტიკური აზროვნების გადარჩენა განაპირობა. ბიზანტიას ეს ფილოსოფიური მემკვიდრეობა რომ არ აეთვისებინა, უარეყო ან კიდევ გაენადგურებინა, მრავალი მნიშვნელოვანი ტექსტი მათ ენობრივ ველში, მართალია, გაქრებოდა, მაგრამ მათი სულისკვეთება არც ერთ შემთხვევაში არ დაიკარგებოდა; უფრო მეტიც, ბერძნული აზროვნება განსხვავებულ ვითარებაში, არაბული კულტურის სფეროში განაგრძობდა არსებობას. ვერც იმას ავუვლით გვერდს, რომ ნეოპლატონიზმმა არაბული ფილოსოფიის ფორმირება დააჩქარა. მისი ირიბი გავლენები შემდგომში არაბების მისტიკურ აზროვნებას გასცდა და სპარსეთსა და, ზოგადად, აღმოსავლეთზე გავრცელდა⁷. – პროკლეს სპეციფიკურ-არაბული რეცეფციის შესახებ გერჰარდ ენდრესმა 1973 წელს შექმნა ვრცელი გამოკვლევა სახელწოდებით

7 შდრ. A. Schimmel, *Mystische Dimensionen des Islam. Die Geschichte des Sufismus*, 2. Aufl., München 1992, 370.

„Proclus arabus“⁸. ამ ნარკვევში მან გამოაქვეყნა პროკლეს „თეოლოგიის სანყისების“ არაბული ფრაგმენტები: ეს ამონაკრებები კარგად აჩვენებს, თუ რა აინტერესებდათ არაბ ფილოსოფოსებსა და მთარგმნელებს პროკლეს ამ ნაშრომში; ეს ტექსტები ირიბად იმ შინაარსის დოკუმენტირებასაც ახდენენ, რომელსაც ისინი უარყოფდნენ: ისეთი მკაცრად მონოთეისტური რელიგია, როგორც ისლამია, წარმართულ ღმერთების პროკლესეულ თეოლოგიაზე, ცხადია, მხოლოდ უარყოფით რეაგირებას მოახდენდა, მაგრამ „თეოლოგიის სანყისების“ თეორემათა ფილოსოფიური აზრის სიღრმე და სიცხადე არაბებისთვის მაინც სარწმუნო აღმოჩნდა: წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ამ მნიშვნელოვან ნაშრომს სრულად უარყოფდნენ.

ენდრესმა, ყოველ შემთხვევაში, აჩვენა, თუ რა სარგებელის მიღება შეეძლოთ ფილოსოფიის ისტორიკოსებს ამ მცირედი მემკვიდრეობიდან; მან გამოიკვლია ამ თარგმანის

8 შდრ. G. Endress, Proclus Arabus: Zwanzig Abschnitte aus der Institutio theologica in arabischer Übersetzung (Beiruter Texte und Studien 10), Beirut – Wiesbaden 1973.

ენობრივი თავისებურება, ბერძნულიდან არაბულ ენაზე შესრულებული სხვა თარგმანების კონტექსტში. ამასთან ერთად, მან რჩეული ფრაგმენტებიც თარგმნა გერმანულ ენაზე. ვისაც პროკლეს ფილოსოფიის არაბულ სივრცეში კვლევის სიღრმისეული შესწავლა სურს, ის აქ საინტერესო ანალიზსა და განაზრებებს იპოვის. ამასთან ერთად, ენდრესის ნაშრომში, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ფილოსოფიური აზროვნების ტრანსფორმაციის თავისებურების შესანიშნავი ანალიზია წარმოდგენილი. ეს ინტერკულტურული პროცესი მეცნიერებისთვის კვლავაც მრავალ ამოცანას წამოჭრის⁹.

4. ბიზანტიელები პროკლეს ფილოსოფიურ თეოლოგიას არაბებზე უფრო გვიან, მაგრამ გაცილებით ფართოდ შეისწავლიდნენ. 1984 წელს, ა. დ. ანგელოუმ გამოსცა ნიკოლოზ მეთონელის ვრცელი კომენტარი პროკ-

9 შდრ. G. Endress, The new and improved platonic theology. Proclus arabus and the islamic philosophy, in: A. Ph. Segonds, C. Steel (Ed.), Proclus et la théologie platonicienne. Actes du Colloque International de Louvain (13-16 mai 1998), Leuven – Paris 2000, 553-570.

ლეს „თეოლოგიის სანყისების“ შესახებ¹⁰. ნიკოლოზ მეთონელი გარდაიცვალა 1160 და 1166 წლებს შორის, ამ კომენტარზე იგი, სავარაუდოდ, გარდაცვალებამდე მუშაობდა¹¹. ერთი მხრივ, ნიკოლოზ მეთონელს ჰქონდა იდეალური შესაძლებლობა პროკლეს რეცეფციის განსახორციელებლად, იმიტომ, რომ ორივე, როგორც ორიგინალი, ასევე მისი კომენტატორი, ბერძნულ ენობრივ ველს წარმოადგენდა. ცხადია, ამ შემთხვევაში, თარგმანი საჭირო არ იყო. მეორე მხრივ, აქ პროკლეს ნაშრომს ფილოსოფოსი კი არ განმარტავდა, არამედ თეოლოგი, რომელმაც, გასაგები მიზეზების გამო, ამ ნაშრომის ყოველმხრივი უარყოფა დაისახა მიზნად. ის, რომ მას იმ დროისთვის ამგვარი პოლემიკური ნაშრომის შექმნა საჭიროდ მიაჩნდა, მრავლისმეტყველია. ეს ირიბად იმ გავლენასაც აჩვენებს, რაც იმდროინდელ ბიზანტიაში ნეოპლატონურმა ფილოსოფიამ ჰპოვა.

10 შდრ. Nicholas of Methone, Refutation of Proclus' Elements of Theology. A critical Edition with an introduction on Nicholas' Life and Works by A. D. Angelou (Corpus Philosophorum Medii Aevi 1), Leiden 1984.

11 შდრ. იქვე, XLII.

რადგან მისმა მოწინააღმდეგებმა მთელი ის სიდიადე შეიცნეს, რაც წარმართული წარსულის ამ ფილოსოფოსის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ტექსტებში იყო დაფარული, მათ აუცილებლობად ჩათვალეს ამ ტექსტების დამაჯერებელი უარყოფა.

ამდენად, ნიკოლაოსის კომენტარზე ერთი თვალის გადავლებაც კი საკმარისია, რომ გავიგოთ, თუ რა იყო მიუღებელი ამ ბიზანტიელი თეოლოგისთვის პროკლეს წარმართულ ფილოსოფიაში. როცა პროკლე ერთ-ერთ თავში წერს: „ყოველი ღმერთი არსებობს...“, ამაზე ნიკოლოზ მეთონელი სრულიად ცალსახად პასუხობს: „ყოველა ღმერთი კი არა, არამედ ერთი ღმერთი...“¹². ყოველივე ეს აისახა კიდევ იმ ლიტერატურაში, რომელიც ნიკოლაოსმა თავის კომენტარში დაამუშავა: იგი, მეტწილად, წმინდა ნერილს მიმართავდა, მაგრამ, ამასთანავე, ხშირად იყენებდა არეოპაგიტულ კორპუსს, ბერძნული ფილოსოფიიდან კი მხოლოდ არისტოტელეს შესახებ აკეთებდა შენიშვნებს¹³.

12 შდრ. იქვე, 113.

13 შდრ. იქვე, 177.

ნიკოლოზ მეთონელი და მისი ნაშრომები დავინწყებას არასდროს მისცემია. ბიზანტიანისტიები უფრო ადრე დაინტერესდნენ ამ მოაზროვნით, ვიდრე ფილოსოფიის ისტორიკოსები, რომლებმაც მეტად თუ ნაკლებად დაივიწყეს ეს ავტორი. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ადრე შეიქმნა ნიკოლაოსის ნაშრომის შესახებ გამოკვლევები¹⁴, მრავალი პრობლემა ჯერ კიდევ დეტალურ შესწავლას საჭიროებს. აქ, ამავე დროს, მნიშვნელოვანია შემდეგი რამ: შედარებით ანალიზს, რომელმაც „თეოლოგიის სანყისების“ სხვა ცნობილი კომენტარებიც უნდა მიიღოს მხედველობაში, შეუძლია ამ საგრძნობი ნაკლის შევსება.

5. შუა საუკუნეების ბიზანტიური ფილოსოფიის გავლენის სფეროს საქართველოც მიეკუთვნებოდა. ამ პერიოდის ქართველი მოაზროვნეები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ბერძნული ენისა და ლიტერატურისადმი; ძველ ქართულ ენაზე თარგმნეს

14 შდრ. G. Podskalsky, Nikolaos von Methone und die Proklosrenaissance in Byzanz, in: *Orientalia Christiana Periodica* 42 (1976), 509-523.

მრავალი მნიშვნელოვანი ფილოსოფიური ტექსტი და ამ პროცესში მათი ინტერესის საგანი გახდა ნეოპლატონიკოსები და პროკლე. იოანე პეტრიჩის (XII ს.) სახით პროკლემ კონგენიალური კომენტატორი და მთარგმნელი იპოვა; გასაოცარია, რომ ამ წყაროებმა გაუძლო იმ დიდ რყევებს, რაც ქართულმა კულტურამ გარე თუ შიდა ხელშემშლელი ფაქტორების გამო განიცადა შემდგომ საუკუნეებში. საქართველოში პეტრიჩს დიდი გავლენა ჰქონდა, რასაც მის შესახებ არსებული ვრცელი სპეციალური ლიტერატურის სია აჩვენებს: ვინც თ. ირემადის დისრეტაციას გაეცნობა, ის ამის შესახებ სრულყოფილ ინფორმაციებს მიიღებს¹⁵. სულ ცოტა ხნის წინ ითარგმნა პროკლეს „თეოლოგიის საწყისების“ პეტრიჩისეული კომენტარი გერმანულად¹⁶. სანამ პროკლეს კვლევის სფე-

15 T. Iremadze, Konzeptionen des Denkens im Neuplatonismus. Zur Rezeption der Proklischen Philosophie im deutschen und georgischen Mittelalter: Dietrich von Freiberg – Berthold von Moosburg – Joane Petrizi (Bochumer Studien zur Philosophie 40), Amsterdam – Philadelphia 2004.

16 შდრ. Ioane Petrizi, Kommentar zur Elementatio theologica des Proklos. Übersetzung aus dem Altgeorgischen,

როში თანამედროვე ქართული ფილოსოფიის მიღწევები იქნება შესაბამისად დაფასებული, საჭიროა პროკლეს „თეოლოგიის საწყისების“ გავლენის იმ კომპლექსური ისტორიის წარმოჩენა, რაც ლათინურენოვან დასავლეთში განხორციელდა.

6. დასავლეთში „თეოლოგიის საწყისების“ ლათინურენოვანმა თარგმანმა სავსებით უნიკალური და ფართო გავლენა ჰპოვა¹⁷. ამისთვის, რა თქმა უნდა, ხანგრძლივი ისტორიული პროცესი იყო საჭირო. როგორ მოხდა ის, რომ ბერთოდდ მოსბურგელი ისე უარყოფით დამოკიდებულებას არ ამჟღავნებდა წარმართული ღმერთების თეოლოგიის მიმართ, როგორც შუა საუკუნეების სხვა მრავალი ფილოსოფოსი, არამედ პროკლეს ინტენსიურად შეისწავლიდა და, ამასთან ერთად, საკუთარ აზროვნებაში მისი იდეების ნაყოფიერ ინტეგრირებას ახერხ-

Anmerkungen, Indices und Einleitung. Herausgegeben von L. Alexidze und L. Bergemann (Bochumer Studien zur Philosophie 47), Amsterdam – Philadelphia 2009.

17 Proclus, *Elementatio theologica*, translata a Guillelmo de Morbecca, ed. H. Boese, Leuven 1987.

ებდა? ამ პრობლემატიკის წინარე ისტორიაზე ყურადღების გამახვილება მის შემდგომ გაგებას უწყობს ხელს.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ აქ გვხვდება ანტიკური ღმერთების შესახებ ლათინელი მამების მნიშვნელოვანი და ვრცელი მოსაზრებანი, რომლებიც კრიტიკულ პათოსს მოკლებულნი არ იყვნენ. ავგუსტინეს ნაშრომი *De civitate Dei* ამის თვალსაჩინო მაგალითია. მოგვიანებით, პირველ რიგში, XII საუკუნის ფილოსოფოსებმა გამოავლინეს განსაკუთრებით დიდი ინტერესი წარმართული ღვთაებების მიმართ და მათ ხელთ არსებული ინფორმაციები პლატონის ფილოსოფიის რეცეფციისთვის გამოიყენეს.

მას შემდეგ, რაც *Corpus Aristotelicum*-ი თანდათანობით აღწევს ლათინურენოვან დასავლეთში, ანტიკურ რელიგიასთან დაკავშირებული არისტოტელეს მისტიკური შეხედულებები იქცა დისკუსიის საგნად. არისტოტელეს კომენტატორები შუა საუკუნეებიდან ცდილობდნენ ეპოვნათ მისასვლელი გზა ამ წარმართულ აზროვნებასთან. ალბერტ დიდმაც არ აარიდა თავი ამ ამოცანას. ამ საკითხების

მისეული ანალიზი XIII საუკუნის შუა წლებში არსებული მითოლოგიური კვლევის შესანიშნავ ნიმუშად შეიძლება შეფასდეს.

ალბერტმა, ანტიკური მითოსის შესწავლის შედეგად, ნიადაგი მოამზადა ღმერთების შესახებ პროკლეს მოძღვრების რეცეფციისთვის შუა საუკუნეებში. ალბერტისაგან მომდინარე იმპულსებმა განსაკუთრებით მის სკოლაში ჰპოვა ნაყოფიერი ნიადაგი. ალბერტის მცდელობების გარეშე ღმერთების შესახებ ბერთოლდ მოსბურგელის მოძღვრება, რომელიც მან პროკლეს „თეოლოგიის სანყისების“ კომენტარში ჩამოაყალიბა, წარმოუდგენელი იქნებოდა. ბერთოლდს საკუთარი ფილოსოფია ესმოდა, როგორც თეოლოგია და ის ღვთაებრივის შესახებ მეცნიერებად წარმოედგინა. ეს მან ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მისტიკური თეოლოგიისა და ღმერთების შესახებ პროკლეს მოძღვრების სინთეზის გზით განახორციელა: არეოპაგელთან დაფარული ღმერთი გამოვლინდება მყარი ბაზალური პრინციპებით, რომელსაც ბერთოლდი, პროკლეს მსგავსად, ‘ღმერთებს’ უწოდებს.

ამდენად, ღმერთების შესახებ მოძღვრება ბერთოლდის ფილოსოფიური კონცეფციის არსს წარმოადგენს. კითხვა, თუ რამდენად დააზარალა ყოველივე ამან გერმანელი დომინიკანელის რეცეფცია, ღიად უნდა დარჩეს: მისმა კომენტარმა, ყოველ შემთხვევაში, გვიან შუა საუკუნეებში, დიდი გავლენა და გავრცელება ვერ ჰპოვა. ის სულ რაღაც ორი ხელნაწერის სახით არსებობს. ამ ნაშრომის თანამედროვე გამოცემა დაინყო *Corpus Philosophorum Teutonicorum Medii Aevi*¹⁸-ის ფარგლებში. მიუხედავად ამისა, ბერთოლდ მოსბურგელი დღესაც ნაკლებად ცნობილ ფილოსოფოსად რჩება. ამას თავისი მიზეზები აქვს: ცოტა ვინმე თუ ბედავს ბერთოლდის უზარმაზარი კომენტარის შეუღწევად ბურუსში შესვლას, რომელიც მან მომავალ თაობებს დაუტოვა. ეს ძალიან ართულებს მისი აზროვნების შე-

18 შდრ. Bertoldo di Moosburg, *Expositio super Elementationem theologicam Procli*: 184-211 (*De animabus*), ed. L. Sturlese (Temi e Testi 18), Rom 1974; Berthold von Moosburg, *Expositio super Elementationem theologicam Procli. Prologus. Propositiones 1–13*, hg. v. M. R. Pagnoni-Sturlese u. L. Sturlese mit einer Einl. v. K. Flasch (*Corpus Philosophorum Teutonicorum Medii Aevi [CPTMA]* VI, 1), Hamburg 1984.

სახებ სრული წარმოდგენის შექმნას. გარდა ამისა, ბერთოლდის მეთოდოლოგიური მუშაობის წესი აფრთხობს მის მკვლევრებს: მის მიერ მრავლად თავმოყრილ ციტატებში ხშირად იჩქმალება მისი დამოუკიდებელი აზროვნების კონტურები. ამის გამო, ზოგიერთი პუბლიკაცია ბერთოლდის აზროვნების მხოლოდ ცალკეულ ასპექტებს ეხება და, ამდენად, მხოლოდ ცალმხრივ პერსპექტივებს ავითარებს.

III

7. პროკლეს ტექსტებმა დიდი კვალი დატოვა არაბ, ბიზანტიელ, ქართველ და დასავლეთის ლათინელ მოაზროვნეებზე. ეს თანდათან ხდება ცხადი: კვლევა-ძიების პირველი ფაზისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო შესაბამის ენებზე არსებული თარგმანებისა და კომენტარების გამოვლენა. ისინი, დღეს, უკვე სხვადასხვა სახით, კვლევისა და ინტერპრეტაციის საგანია. თუმცა, ვისაც საკუთარი ორიგინალური აღმოჩენების წარმოდგენა სურს, ის სხვა გზით უნდა წავიდეს

და მრავალი დაბრკოლება უნდა გადალახოს. განსაკუთრებით საინტერესო და ნაყოფიერი შესაბამისი რეცეფციების ინტერკულტურული შედარების პერსპექტივა შეიძლება აღმოჩნდეს. თუმცა ეს დიდ ენობრივ კომპეტენციას მოითხოვს. ფილოსოფიის ისტორიკოსმა, რომელსაც „თეოლოგიის სანყისების“ სრული რეცეფციის ისტორიის მოცვა და დამუშავება სურს, უპირველეს ყოვლისა, უნდა იცოდეს არაბული, ძველი ქართული, ბიზანტიური და ლათინური ენები, თუმცა, ამასთანავე, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ენებზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური და რუსული) არსებული მეორადი ლიტერატურის დამუშავებაც უნდა შეძლოს. ენების ეს ჩამონათვალიც კი მიუთითებს, რომ აქ მრავალი სირთულე არსებობს და, სავარაუდოდ, კიდევ დიდხანს იარსებებს.

8. ამ მდგომარეობამ ერთ დროს კვლევის იზოლირება გამოიწვია. იმ კომენტარის გამოცემა და ანალიზი, რომელიც ბერთოლდ მოსბურგელმა შექმნა, ამის საუკეთესო მაგალითია. XX საუკუნის 90-იან წლებამ-

დე ამ სფეროს წამყვანი მკვლევრებისთვის პროკლეს ქართული რეცეფცია სრულიად უცნობი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ფილოსოფიის მხოლოდ ერთეულმა ისტორიკოსებმა თუ იცოდნენ ამ ტრადიციის შესახებ, მაგრამ ხელი არ მიუწვდებოდათ მასზე. ის, რაც ყველა ქართველი ფილოსოფოსისათვის ნაცნობი იყო, დასავლეთის ფილოსოფოსთათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. საამისოდ მრავალი ისტორიული მიზეზი არსებობს, რომელთაგან აქ ყველა განხილული ვერ იქნება; კვლევის შედეგების გაცვლა-გამოცვლას განსაკუთრებით ხელს უშლიდა მსოფლიოს პოლიტიკური დაყოფა, კერძოდ კი, ე.წ. აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფლიქტი; ის არ იძლეოდა ამ ორ კულტურას შორის კონტაქტის შესაძლებლობას, რის გამოც დასავლეთის მკვლევრებს არა მხოლოდ კომპეტენცია, არამედ პროკლეს რეცეფციის ამ მიმართულების გაცნობის შესაძლებლობაც არ ჰქონდათ. დასავლური სამყაროსთვის პროკლეს ქართული და ლათინურენოვანი კომენტარების შედარება იმ დროს სრულიად შეუძლებელი იყო.

9. ამ ჩაკეტილი სიტუაციის შეცვლა მხოლოდ ქართველ ფილოსოფოსებს ხვდათ წილად. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართველებს კვლავ მიეცათ დასავლეთში მოგზაურობის შესაძლებლობა. იმ დროს, როცა თ. ირემაძე თავის დისერტაციას ამზადებდა ბოხუმში, აქ ის მკვლევართა იმ ჯგუფს შეხვდა, რომელიც პროკლეს ბერთოლდისეული კომენტარის სწორედ იმ ნაწილების გამოცემით იყო დაკავებული, ინტელექტის თეორიას რომ ეხება. მათ ირემაძეს თავიანთი ნამუშევრები გააცნეს; ამასთან ერთად შეიქმნა უნიკალური დიალოგის წარმართვის შესაძლებლობა, რომელშიც უმთავრესი ადგილი დაიკავა შუა საუკუნეების ფილოსოფიის საკვანძო პრობლემებმა და ალბერტის სკოლის შესახებ არსებულმა უახლესმა გამოკვლევებმა. – გადამწყვეტი ნაბიჯი ამ ახალი მიმართულებით თავად თ. ირემაძემ გადადგა თავის დისერტაციაში: მასში მან არა მარტო გვიანანტიკელი მოაზროვნის, პროკლეს ცენტრალური კონცეპტის შუა საუკუნეების ლათინურენოვან დასავლეთში არსებული რეცეფციის რეკონსტრუირება

მოახდინა, არამედ, უფრო მეტიც, მან თავისი კვლევა-ძიებისას „თეოლოგიის საწყისების“ ძველი ქართული წყაროები გამოიყენა: აქ მან, პირველმა, გამოკვეთა განსაკუთრებული ინტერკულტურული შედარების შესაძლებლობა; პროკლეს რეცეფციის განვითარების ამ ორივე ხაზს ერთმანეთზე გავლენა არ მოუხდენია. ტექსტების აღრევას და კვეთას ადგილი არ ჰქონია. თუმცა ორივე მიმართულება ერთი გვიანანტიკური წყაროდან საზრდოობდა. თ. ირემადემ ნათლად დაინახა, რომ სწორედ აქ, ერთმანეთისაგან დაშორებულ ენობრივ კულტურებში, გახდა შესაძლებელი პროკლეს ფილოსოფიური თეორემების იდენტიურობისა და განსხვავების მრავალმხრივი მიზეზების დეტალური შესწავლა. მისი დისერტაცია გაცილებით მეტია, ვიდრე პროკლეს ფილოსოფიის რეცეფციის ისტორიის შესახებ წარმოდგენილი ერთი სპეციალური ნაშრომი: მან თავის დისერტაციაში გააერთიანა განსხვავებულ ინტერპრეტაციათა მიმართულებები და ამის შედეგად საფუძველი შექმნა ინტერკულტურული კვლევის სფეროს შექმნისთვის. სწორედ ეს გამოარჩევს

და განასხვავებს მის ნაშრომს იმ პუბლიკაციებისაგან, რაც დღემდე შექმნილა დასავლეთში ბერთოლდ მოსბურგელის შესახებ.

10. მსგავსი რამ პროკლეს რეცეფციის განვითარების სხვა მიმართულებების შესახებაც უნდა გაკეთდეს: ის ასახვები, რეფლექსიები და ურთიერთგავლენები, რაც ზემოთ დასახელებულ – განსხვავებული კულტურული წარმომავლობის – ტექსტობრივ ჯგუფებს შორის იკვეთება, გამოკვლეულ უნდა იქნეს. თუ რისი გაკეთება შეუძლია ქართულ მეცნიერებას საამისოდ, კარგად იციან მისმა ისეთმა წამყვანმა წარმომადგენლებმა, როგორც თ. ირემაძეა. არავის აქვს უფლება, მათ რაიმე უკარნახოს.

რა დასკვნები უნდა გამოიტანოს დასავლურმა ფილოსოფიამ იმ პრობლემებიდან, რომელსაც პროკლეს „თეოლოგიის საწყისების“ გავლენის ისტორია წარმოაჩენს? მას, პირველ ყოვლისა, უნდა გააჩნდეს სურვილი, განსხვავებული კულტურებიდან მომდინარე ფილოსოფია უფრო უკეთ გაიცნოს, ვიდრე აქამდე: რადგან ევროპოცენტრიზმი არა თუ

მოძველდა, არამედ კვდება კიდევ; მართალია, ის ნელ-ნელა, მაგრამ უდაოდ კვდება. ის იმიტომ კვდება, რომ მომავალი მის მხარეს უკვე აღარ არის.

შალვა ნუცუბიძე - XX საუკუნის გერმანულ-ქართული ფილოსოფოსი

1. ქართული ფილოსოფია გერმანიაში თითქმის უცნობია: ქართველი ფილოსოფოსების მნიშვნელოვან ნაშრომებს იშვიათად თუ შევხვდებით ადგილობრივ ბიბლიოთეკებში, თვით საქართველოს წამყვან ფილოსოფოსებს კი აქ მხოლოდ სპეციალისტები თუ იცნობენ. ამას მრავალი მიზეზი აქვს: უძველესი ქართული ენის შესწავლა დიდ სირთულეებს ქმნის; საქართველოს ფარგლებს მიღმა მას მხოლოდ ლინგვისტები თუ სწავლობენ. ეს გერმანიასაც ეხება. ამასთან, ანგლო-ამერიკული აზროვნების თანმიმდევრულ შემოტევას ფილოსოფიური დისკურსის ენობრივ ნიველირებამდე მივყავართ. განსხვავებული ენობრივი კულტურები, ამის საპირისპიროდ, ძალზე რთულად თუ იმკვიდრებენ საკუთარ თავსა და ადგილს. თუმცა, არა მხოლოდ ენობრივი ბარიერები, არამედ ევროპული პერსპექტივიდან დანახული კა-

ვკასიის მაღალ კულტურათა არასახარბიელო გეოგრაფიული და პოლიტიკური მდგომარეობა ხელს უშლის და აფერხებს კომუნიკაციას. ამის გამო, ბოლო დრომდე, დასავლეთის მხოლოდ რამდენიმე ფილოსოფოსმა თუ იპოვა გზა საქართველოსკენ. მართალია, რკინის ფარდა, რომელიც XX საუკუნეში აზრებისა და პიროვნებების გაცვლას საქართველოსა და ევროპას შორის ხელს უშლიდა, კარგა ხანია დაირღვა, მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში წარმოქმნილი ენობრივი, გეოგრაფიული და პოლიტიკური ბარიერების დარღვევა ასე უცებ ვერ ხერხდება. ახალი პრობლემები და სიძნელეები მიანიშნებენ იმაზე, რომ აზრთა ორმხრივი, შეუფერხებელი ურთიერთგაცვლა ჯერ კიდევ შორეულ მიზანს წარმოადგენს.

2. რასაკვირველია, ეს განმარტებები სრულყოფილი არ არის. ისინი ბოლომდე ვერ გვარწმუნებენ, რადგან პრობლემას ცალმხრივად განიხილავენ. თუ კარგად დავაკვირდებით, დავასკვნით, რომ დასავლური ფილოსოფია ზოგჯერ სიამოვნებით იქმნიდა

მყარ ბარიერებს. მისი არასაკმარისი მზაობა ინტერკულტურული დიალოგისათვის, ქედმაღლობა, აგრეთვე მისი წამყვანი წარმომადგენლების სიბეცე პირდაპირ დამლუპველი იყო. ქართველები, ამის საპირისპიროდ, სრულიად განსხვავებულად მოქმედებდნენ: მრავალი ძველი და ახალი მაგალითი შეიძლება დასახელდეს იმის საილუსტრაციოდ, რომ ქართველი ფილოსოფოსები დასავლური ფილოსოფიის განვითარებას თვალს ადევნებდნენ და ევროპელი მოაზროვნეების მთავარ შრომებს გულდასმით სწავლობდნენ. ხშირად მათ ისიც კი გამოსდიოდათ, რომ სასიკეთო ისტორიული ვითარება ინტერნაციონალური ურთიერთობების დამყარებისთვის გამოეყენებინათ. შესაბამისად, ისინი გონივრულად ეძებდნენ მყარ კავშირებს, მიმართავდნენ დასავლური ფილოსოფიის მთავარ ცენტრებს და ძალიან ღირებულ კონტაქტებსაც ამყარებდნენ. თუმცა, მათი განსაკუთრებული ყურადღება მაინც გერმანულმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ მიიქცია. სამწუხაროა, რომ დღემდე გერმანულ ენაზე არ არსებობს გამოკვლევა, რომელიც

ქართული ფილოსოფიის განვითარების შესახებ საიმედო წარმოდგენას შეგვიქმნის და დასავლეთთან მის მრავალმხრივ კავშირებს ისტორიულად აჩვენებს. ასე რომ, აქ კვლევის ის სფერო იკვეთება, რომელიც ადეკვატურ დამუშავებას საჭიროებს და თანაც სრულიად ახალ პერსპექტივებს გვპირდება; ეს, ცხადია, მომავალი კვლევის უცილობელი ამოცანაა.

3. იმ გერმანელ ფილოსოფოსებს, რომლებიც ვერ ფლობენ ქართულ (ან რუსულ) ენას, დიდი ხანი დასჭირდათ გაეგოთ, თუ რა საგანძურის აღმოჩენა ელოდათ მათ საქართველოში. 70 წელზე მეტია, რაც არსებობს გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის, შალვა ნუცუბიძის შესანიშნავი ნაშრომები, რომელიც მან არა მხოლოდ გერმანულ ენაზე შექმნა, არამედ გერმანიაში გამოაქვეყნა კიდევც. საქართველოში ეს ტექსტები არასოდეს მისცემიან დავიწყებას, გერმანიაში კი, ამის საპირისპიროდ, ისინი კვლავ გახსენებას საჭიროებენ:

ჭეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა. პირველი შესავალი ალეთეოლოგიურ

რეალიზმში შალვა ნუცუბიძისა, ტიფლისის უნივერსიტეტის პროფესორი, ბერლინი და ლაიპციგი, 1926 (ვალტერ დე გროიტერი), 196 გვ. (გერმანულ ენაზე).

ფილოსოფია და სიბრძნე. სპეციალური შესავალი ალეთეიოლოგიაში შალვა ნუცუბიძისა, ტიფლისის უნივერსიტეტის პროფესორი, ბერლინი და კიონიგსბერგი, 1931 (ალმოსავლეთ-ევროპის გამომცემლობა), 218 გვ. (გერმანულ ენაზე).

ორივე ნაშრომმა იმთავითვე დიდი ყურადღება მიიქცია და გერმანელი რეცენზენტების დადებითი შეფასება დაიმსახურა¹. თუმცა მათი რეცეფცია გერმანიაში მალევე

1 „ჭეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურის“ შესახებ გამოქვეყნებულ რეცენზიაში მაშინ იწერებოდა: „ავტორი კარგად იცნობს გერმანულ ფილოსოფიას... ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი წიგნი“ („ფილოსოფია და ცხოვრება“), ამასთან „ავტორი აქეხება სფეროს, რომელსაც გერმანული ფილოსოფიური კვლევისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს“ („მეცნიერების საფუძვლები“). [ციტირებულია ვალტერ დე გროიტერის გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებული დამატების მიხედვით ნაშრომის – „ფილოსოფია და სიბრძნე“ – შესახებ].

შენყდა. 1933 წლიდან პოლიტიკური ვითარების გამწვავებამ ყოველივე ამაზე უდაოდ მოახდინა გავლენა.

4. შალვა ნუცუბიძის ორივე ნაშრომი აჩვენებს არა მხოლოდ ევროპული ფილოსოფიის ისტორიის, არამედ იმდროინდელ გერმანიაში არსებული ფილოსოფიური სიტუაციის ღრმა ცოდნას. მათი პუბლიკაცია უახლესი ფილოსოფიის აყვავების ხანას ემთხვევა. კლასიკური გერმანული ფილოსოფიის შემდგომ არც ერთ მიმდინარეობას არ მიუღწევია ისეთი დიდი აღმავლობისთვის, როგორც ფენომენოლოგიას. იმ დროს, როცა ნუცუბიძემ თავისი ტექსტები გამოაქვეყნა, ამ მიმართულებამ თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. გასული საუკუნის 20-იან წლებში ედმუნდ ჰუსერლი უკვე ფლობდა ისტორიული მნიშვნელობის მქონე წამყვანი ფილოსოფოსის სტატუსს. 1929 წელს მარტინ ჰაიდეგერმა ჩაიბარა ჰუსერლის კათედრა ფრაიბურგში, მაგრამ მისი აზროვნების საფუძვლიანი ცვლილებები განახორციელა და ასე, თანდათან, დაშორდა მისი დიდი მა-

სწავლებლის ფილოსოფიურ კონცეპტებს. აღსანიშნავია, რომ იგი უკვე მარბურგში ავითარებდა ორიგინალურ მოსაზრებებს. თავის მთავარ ნაშრომში „ყოფიერება და დრო“ (1927) ყოფნის შესახებ კითხვას იგი ლოგოსის შესახებ არისტოტელეს მოძღვრებისა და ალეთიას ჭრილში განიხილავს (§7 B). ჭეშმარიტებისა ან დაუფარაობის შესწავლა მისი აზროვნების უმთავრეს თემად დარჩა. თვით მისი გვიანდელი ტექსტებიც ამ პრობლემას ეხება.

5. ტექსტების ფილოსოფიური მუხტის აღქმის მცირეოდენი ალლოც კი შესაძლებლობას გვაძლევს გავიგოთ, რომ იმ დროის აზროვნება, რომელიც ალეთეოლოგიის შექმნას ისახავდა მიზნად, უდიდეს ყურადღებას იმსახურებს. ნუცუბიძეს პრეტენზია არ ჰქონდა, რომ ფენომენოლოგი ყოფილიყო, მაგრამ – რადგან მან თავისი აზროვნება ჭეშმარიტების პრობლემას მიუძღვნა –, სრული უფლება გვაქვს, რომ იგი იმ დროის გავლენიან გერმანელ ფილოსოფოსებს შევადაროთ. ამასთან ერთად, თვალში საცემია ისიც, რომ

მისი ნაშრომები დიდად აღემატება იმ ეპიგონალურ ტექსტებს, რომლებიც ჰუსერლისა და ჰაიდეგერის წრეში შეიქმნა. უფრო მეტიც, საქმე ეხება ორიგინალურ და სისტემატურ ნაშრომებს, რომლებიც სრულიად უძლებენ მათი დროის დიდი ტექსტების კონკურენციას. ნუცუბიდის მახვილგონიერი და, ამდენად, ძნელად მისაწვდომი წიგნები მათ ინტერპრეტაციორებს დიდ მოთხოვნებს უყენებს. შესაძლოა, ესეცაა იმის მიზეზი, რომ ამ წიგნებმა გერმანიაში ასე ცოტა მკითხველი ჰპოვა.

6. ამ ნაშრომებით ნუცუბიდის ფილოსოფიური გენია არ ჩამქრალა. იგი შემდგომშიც ბევრს წერდა, მაგრამ არა გერმანულ ენაზე, არამედ თავის მშობლიურ ან კიდევ რუსულ ენაზე. საბჭოთა ხელისუფლების დროს მრავალი ქართველი მოაზროვნე სწორედ რუსულ ენას იყენებდა. მაგრამ, რადგან რუსული ფილოსოფიური ლიტერატურა – გამონაკლისების გარდა – დასავლეთში ასევე ძალიან ნაკლებ ყურადღებას იმსახურებდა, ამიტომ ნუცუბიდის მრავალენოვანმა შემოქ-

მედებამ აქ სარგებელი ვერ ჰპოვა. ამის საპირისპიროდ, საქართველოსა და რუსეთში ამ გამოკვლევებმა თავისი მკითხველი მონახა. დღეს ნუცუბიძე სამართლიანად ითვლება XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის კლასიკოსად.

7. დღეისათვის ქართველი ფილოსოფოსები, რომლებიც, ნუცუბიძის მსგავსად, თავისუფლად ფლობენ მრავალ ენას, დიდი აღტაცებითა და მონდომებით ასწორებენ წარსულის ნაკლოვანებებსა და შეცდომებს. მათი მიზანია ნუცუბიძის ფილოსოფია გერმანიასა და ევროპაში ფართო საზოგადოებას ხელახლა წარუდგინონ. – თუ რას უნდა ველოდოთ ამგვარი კვლევებისაგან და რა ძირითად ხაზს ავლებენ ისინი, სანიმუშო სახით აჩვენებს თენგიზ ირემადის გამოკვლევა „ალეთეიოლოგიური რეალიზმი. შალვა ნუცუბიძე და მისი აზროვნების ახლებური სანყისები“². ქართველი ავტორი გერმანული პუბლიკისათვის, უნინარეს ყოვლისა, თავისი

2 იხ. T. Iremadze, Der Aletheiologische Realismus. Schalwa Nuzubidse und seine neuen Denkansätze, Tbilissi 2008.

სადოქტორო დისერტაციით არის ცნობილი³. ამ ნაშრომში, რომელიც გაცილებით მეტია, ვიდრე სპეციალური გამოკვლევა პროკლეს ფილოსოფიის გავლენის ისტორიის შესახებ, თ. ირემაძე ახდენს ლათინურენოვან შუა საუკუნეებში არსებული გვიანანტიკური აზროვნების ერთ-ერთი მთავარი კონცეპტის არა მარტო რეკონსტრუირებას, არამედ პროკლეს ადრეული ქართველი ეგზეგეტის შემოქმედებასაც იკვლევს. ამით მან უნიკალური ინტერკულტურული შედარება განახორციელა: რადგან განვითარების ამ ორ ხაზს ერთმანეთთან არასოდეს ჰქონია მიმართება, არამედ მხოლოდ საერთო წყაროდან მომდინარეობდა, შესაძლებელი გახდა პროკლეს ფილოსოფიური თეზისების ათვისების მსგავსებისა და განსხვავების მიზეზთა შესწავლა – განსხვავებული კულტურული წინაპირობებიდან გამომდინარე, წმინდა სა-

3 იხ. T. Iremadze, Konzeptionen des Denkens im Neuplatonismus. Zur Rezeption der Proklischen Philosophie im deutschen und georgischen Mittelalter: Dietrich von Freiberg – Berthold von Moosburg – Joane Petrizi (Bochumer Studien zur Philosophie 40), Amsterdam – Philadelphia 2004.

ხით, ყოველგვარი გადაკვეთის გარეშე. ვინ გამოჩნდებოდა გერმანიაში ამგვარი პროექტების განმახორციელებელი? ამ ამოცანის დასახვა და წარმატებით დაძლევა მხოლოდ ქართველ ფილოსოფოსს შეეძლო.

8. თავის ჩინებულ სამეცნიერო გამოკვლევაში ნუცუბიდის ფილოსოფიის შესახებ თ. ირემაძე გამოკვეთს მომავალ პერსპექტივებს და ქართული ფილოსოფიის შესახებ სამეცნიერო კვლევის ახალ შედეგებს წარმოადგენს, რაც დიდ ყურადღებას იმსახურებს. ის აქ ორმაგ სტრატეგიას ისახავს მიზნად: მას სურს არა მხოლოდ გერმანული პუბლიკისათვის ნუცუბიდის აზროვნების გაცნობა, არამედ, ამავე დროს, ნუცუბიდის ფილოსოფიის შესახებ არსებული კვლევის წინ წაწევა. ამით ამ დიდი ქართველი ფილოსოფოსის დავიწყებას გერმანიაში ბოლო უნდა მოელოს. ამასთან ერთად ქართველი მკითხველი ამ გამოკვლევით საინტერესო იმპულსებს შეიძენს საკუთარი განაზრებებისათვის. ვიმედოვნებთ, რომ ავტორი ნუცუბიდის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მომავალ-

შიც შექმნის ახალ გამოკვლევებს. მთავარია,
რომ მან ეს საქმე უკვე დაიწყო.

Personenregister • სახელთა საძიებელი

- Agathias 13
Albert der Große 23
Alexidze, L. 21, 59
Angelou, A. D. 17-18, 55
Aristoteles 19, 23, 36
Asklepiades 13
Augustin 22
- Beierwaltes, W. 11, 48
Bergemann, L. 21, 59
Betholdo di Moosburg s. Berthold von Moosburg
Berthold von Moosburg 21-26, 28-29, 39, 58, 62, 79
Boese, H. 22, 59
- Chosrau 13
- Damaskios 12, 13
David the Invincible 12
Dietrich von Freiberg 21, 39, 58, 79
Dodds, E. R. 13, 50
- Endress, G. 16-17, 53, 54
- Flasch, K. 24, 62
- Guillelmus de Morbecca 22, 59

Hegel, G. W. F. 12, 49

Heidegger, M. 36-37

Heraiskos 13

Husserl, E. 36-37

Ioane Petrizi s. Joane Petrizi

Iremadze, T. 8, 21, 28-30, 38-40, 58, 78, 79

Jeck, A. 8

Jeck, M. 8

Jeck, U. R. 5, 8, 13-14, 49, 50

Joane Petrizi 20-21, 39, 58, 79

Justinian 13

Kendall, B. 12, 48

Nicholas of Methone s. Nikolaos von Methone

Nikolaos von Methone 17-20, 55, 57

Nuzubidse, Sch. 7, 31, 34-40, 78

Pagnoni-Sturlese, M. R. 24, 62

Platon 11-12, 23

Podskalsky, G. 20, 57

Proclus s. Proklos

Proklos 6-7, 9, 11, 13-25, 27-30, 39, 48, 50, 53, 54,
57-59, 62, 79

Pseudo-Dionysios Areopagites 24

Rolke, M. 8

Schimmel, A. 16, 52

Segonds, A. Ph. 17, 54

Steel, C. 17, 54

Sturlese, L. 24, 62

Thomson, R. W. 12, 48

Zakaradze, L. 8

აგათია 50

ავგუსტინე 60

ალბერტ დიდი 60, 61, 66

ანგელოუ, ა. დ. 54

არისტოტელე 56, 60, 76

ასკლეპიადე 49

ბერთოდდ მოსბურგელი 59, 61-64, 66

დამასკიოსი 49-50

ენდრესი, გ. 52-54

ზაქარადე, ლ. 44

იეკი, მ. 44

იეკი, უ. რ. 41, 44
იეკ-კორტე, ა. 44
იოანე პეტრიწი 58
ირემაძე, თ. 44, 58, 66-68, 78-80
იუსტინიანე 50

ნიკოლოზ მეთონელი 54-57
ნუცუბიძე, შ. 43, 70, 73-80

პლატონი 47-48, 60
პროკლე 42-43, 45, 47-49, 51-56, 58-59, 63,
65-68

როლკე, მ. 44

ფსევდო-დიონისე არეოპაგელი 61

ჰაიდეგერი, მ. 75, 77
ჰეგელი, გ. ვ. ფ. 49
ჰერაისკოსი 49
ჰუსერლი, ე. 75, 77

ავტორის შესახებ

უდო რაინჰოლდ იეკი (1952) – ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი. პლატონიზმის, არისტოტელიზმისა და ნეოპლატონიზმის თვალსაჩინო მკვლევარი. 1992 წელს ბოხუმის რურის უნივერსიტეტში (გერმანია) დაიცვა სადოქტორო დისერტაცია გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსის, კურტ ფლაშის ხელმძღვანელობით, ხოლო 2002 წელს კი შეასრულა ჰაბილიტაცია. უდო იეკის სახელთანაა დაკავშირებული უმდიდრესი ფილოსოფიური ტრადიციის, კერძოდ, ორიენტალიზებული პლატონიზმისა და პლატონიკოსების მთელი თავისი სისრულით აღმოჩენა და გამოკვლევა. იგი არის XIV საუკუნის მნიშვნელოვანი (ნეო)პლატონიკოსის, ბერთოლდ მოსბურგელის „პროკლეს-კომენტარის“ ვრცელი ტექსტის ერთ-ერთი გამომცემელი და საყოველთაოდ ცნობილი ინტერპრეტატორი. მასვე ეკუთვნის არისტოტელესა და ავგუსტინეს *დროის თეორიის* შუა საუკუნეების აზროვნებაში (უწინარეს ყოვლისა, არაბულ, ებრაულ, ბიზანტიურ და ლათინურ ენობრივ სივრცეში) არსებული რეცეფციების ორიგინალური ინტერპრეტაცია. 2008-2010 წლებში იგი იყო ლიუნებურგის უნივერსიტეტის (გერმანია) პროფესორი (მეცნიერების ისტორიის განხრით) და წარმართავდა სასწავლო მოდულს „მეცნიერება ქმნის ისტორიას“, რომლის ფარგლებშიც, თანა-

მედროვეობის გამოჩენილ მეცნიერებთან ერთად (მაგ., გერჰარდ როთი), გამართა ერთობლივი მოხსენებების, ლექციებისა და სემინარების სერია. ამჟამად მოღვაწეობს ბოხუმის რურის უნივერსიტეტისა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორად (ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა განხრით); არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი. უდო იეკი არის ორი ვრცელი მონოგრაფიისა და რამდენიმე ათეული სამეცნიერო სტატიის ავტორი. *მისი კვლევისა და სწავლების სფეროებია*: ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოსოფია, გერმანული იდეალიზმი, XX საუკუნის ფილოსოფია (ჰაიდეგერი), სოციალური ფილოსოფია, მეცნიერების ისტორია, ნეიროფილოსოფია. *მთავარი ნაშრომები*: „არისტოტელე ავგუსტინეს წინააღმდეგ. დროისა და სულის მიმართების საკითხის შესახებ არისტოტელეს ანტიკელ კომენტატორებთან, არაბულ არისტოტელიზმსა და XIII საუკუნეში“ (1994); „გონების სინათლე. განმანათლებლობის საწყისები შუა საუკუნეებში“ (1997, კურტ ფლაშთან ერთად); „ორიენტალიზებული პლატონიზმი. ფილოსოფიური ტრადიციის აღმოჩენა“ (2004).

გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა
კვლევითმა ინსტიტუტმა
წინამდებარე ფორმატით გამოსცა:

თენგიზ ირემაძე: ვალტერ ბენიამინი. ცხოვრება, მოღვაწეობა, აქტუალობა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2008, 108 გვ.

Tengiz Iremadze: Der Aletheiologische Realismus. Schalwa Nuzubidse und seine neuen Denkansätze, „Nekeri“, Tbilissi, 2008, 117 S.

ბურკჰარდ მოიზიში: ჰუმანიზმის ეპისტემოლოგია, ინგლისურიდან ქართულად თარგმნა გიორგი ბარამიძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2009, 90 გვ.

ჰელმუტ შნაიდერი: ფილოსოფიური გეოგრაფია, გერმანულიდან ქართულად თარგმნა გიორგი თავაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 120 გვ.

უდო რაინჰოლდ იეკი: განაზრებანი ქართული ფილოსოფიის შესახებ, გერმანულ და ქართულ ენებზე, გერმანულიდან ქართულად თარგმნა ლალი ზაქარაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 88 გვ.